განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არეგულირებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წევრთა თანამდებობაზე განწესების საკითხებს. ევროკომისიის რეკომენდაციაა, რომ კომისიის დამოუკიდებლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად აღნიშნული საკითხი ახლებურად დარეგულირდეს, დაემატოს კომისიის წევრთა შერჩევის პრინციპები, განისაზღვროს მთავრობის მიერ წარსადგენი კომისიის წევრთა შერჩევის წესი და ა.შ. თავის მხრივ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს კომისიის წევრთა გათავისუფლების საფუძვლებს და პროცედურებს. ევროკომისია მიიჩნევს, რომ კომისიის წევრთა გათავისუფლების საფუძვლები არ შეიცავს საკმარის გარანტიებს კომისიის წევრის სათანადო დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე დახვეწას საჭიროებს თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, ცვლილებები შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში და განსხვავებულად მოწესრიგდეს ზემოაღნიშნული საკითხები. ანალოგიური ვალდებულება გამომდინარეობს ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტიდანაც, რომელთა შესრულებაზეც არის დამოკიდებული საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების საჭიროებით. რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ კომისიის დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით უნდა დაიხვეწოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთან თანამდებობაზე განწესების მარეგულირებელი ნორმები, დაემატოს კომისიის წევრის შერჩევის პრინციპები, ახლებურად ჩამოყალიბდეს მთავრობის მიერ წევრების კანდიდატთა ნომინირების საკითხები და შეიცვალოს კომისიის წევრთა გათავისუფლების საფუძვლები და პროცედურა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, მოხდება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის დახვეწა და მისადაგება ევროკომისიის რეკომენდაციებთან, კომისიის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, კომისიის წევრთა თანამდებობაზე განწესებისა და გათავისუფლების მომწესრიგებელი ნორმების გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი აწესრიგებს კომისიის წევრთა თანამდებობაზე გამწესებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონპროექტით, აღნიშნული მუხლი იხვეწება და ემატება კომისიის წევრის შერჩევის პრინციპები, კერძოდ, კანონიერების, გამჭვირვალობის, კანდიდატების თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები. კანონპროექტით ასევე განისაზღვრება, რომ მთავრობის მიერ წარსადგენი კანდიდატურების შესარჩევად იქმნება სათანადო შესარჩევი კომისია, რომელიც დაკომპლექტდება მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. აღნიშნული კომისია გადაარჩევს განაცხადებს და გასაუბრებას მართავს ყველა იმ კანდიდატთან ვინც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ განათლებისა და სამუშაო გამოცდილების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საკონკურსო კომისია განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას შესაბამის კანდიდატებთან დაკავშირებით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს კომისიის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებსა და პროცედურებს. საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს, აღძრას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა: „კომისიის წევრის მიერ ზედიზედ 15 დღეზე მეტი ხნით ან წლის განმავლობაში 2 თვეზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით კომისიის წევრის უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში“. მიჩნეულია, რომ აღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი მეტისმეტად მკაცრია. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შედის ცვლილება და კომისიის წევრთა დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით განისაზღვრება, რომ კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი არსებობს „კომისიის წევრის მიერ ზედიზედ 3 თვეზე მეტი ხნით ან წლის განმავლობაში 4 თვეზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით კომისიის წევრის უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში.“ ამავე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილია კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა. აღნიშნულ პროცედურას ემატება წესი, რომლითაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ის კომისიის წევრი რომლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხიც იხილება, აღიჭურვება უფლებით წერილობით ან/და ზეპირად მიაწოდოს საკუთარი პოზიცია პარლამენტს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართ (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ);

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ კანონპროექტი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, რადგან პროექტი არ საჭიროებს დამატებით დროს ან პირობებს მის სრულად ასამოქმედებლად, პროექტი არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას, რადგანაც დაჩქარებული განხილვის წესის არგამოყენების შემთხვევაში დაყოვნდება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა, რამაც, შეაფერხოს საქართველოს მხრიდან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ასევე ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება.

კანონპროექტი უარყოფით გავლენას არ მოახდენს ბავშვების/არასრულწლოვნების უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. უფრო მეტიც, კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულებას, რაზეც დამოკიდებულია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავება მოხდა ევროკომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, ირმა ზავრადაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ისკო დასენი, ბეჟან წაქაძე, ეკა სეფაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, ირმა ზავრადაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ისკო დასენი, ბეჟან წაქაძე, ეკა სეფაშვილი.